



სტარტაპების წარუმატებლობის მიზეზები

სტარტაპების წარუმატებლობის მიზეზები


ავტორი: რამინ კოჩალიძე

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო ბიზნეს სტარტაპების ბუმი იყო, რამაც საერთაშორისო ბიზნეს გარემოს ტრანსფორმაცია გამოიწვია. ყოველწლიურად მსოფლიოში მილიონობით სტარტაპი იქმნება, თუმცა მათი აბსოლუტური უმეტესობა ვერ აღწევს წარმატებას და წყვეტს ოპერირებას. თუმცა, ეს გასაკვირი არაა, რადგან წარუმატებლობის მაღალი რისკი სტარტაპის თანმდევი მოვლენაა და მისი განმარტებაც ნათლად მიგვითითებს ამაზე.

სტარტაპის საუკეთესო განმარტება შემდეგნაირია: „სტარტაპი არის ახალი, ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის მისაღებად შექმნილი ინსტიტუტი, რომელიც მიისწრაფვის მაღალი პოტენციალის მქონე ბიზნეს მოდელისაკენ და შექმნილია ექსტრემალურ და მოულოდნელობით აღსავსე გარემოში“. აქედან გამომდინარე თუ შეირჩევა ბაზარზე ოპერირების სწორი ბიზნეს მოდელი, სტარტაპს ექნება წარმატების მანსი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კრახს განიცდის.

სტარტაპების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, თუმცა მათი 50 % პირველი ოთხი წლის განმავლობაში წყვეტს ოპერირებას, 70 % - ათი წლის განმავლობაში, ხოლო საბოლოოდ 90 % ვერ აღწევს წარმატებას. 2018 წელს ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა სტარტაპების წარუმატებლობის ოცი მიზეზი, მათგან ათი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოდგენილია დიაგრამაზე.

სტარტაპების წარუმატებლობის მიზეზები



წყარო: www.cbinsights.com

აღნიშნული მონაცემები ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სტარტაპების წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი არასწორი დაგეგმვაა. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ბაზარზე შემავალ ახალ ბიზნესებს არ აქვთ

სწორად გააზრებული ბაზრის მოთხოვნები და ძირითად აქცენტს საკუთარ იდეაზე აკეთებენ. ამასთანავე, სტარტაპები არასწორად გეგმავენ ბიზნეს მოდელს, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს და ვერ ითვალისწინებენ მომავალი კონკურენტების ზეგავლენის ფაქტორს. ამასთან ერთად სტარტაპის დაწყების შემდეგ აუცილებელია ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიის დანერგვა მომხმარებელთა მოზიდვისათვის.

სტარტაპის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს ქვეყანა, რომელშიც ის ოპერირებს. განვითარებულ და სწრაფად განვითარებადი ქვეყნები ყველაზე მიმზიდველ გარემოს ქმნიან სტარტაპების განვითარებისათვის. მსოფლიოში სტარტაპების განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს მქონე 5 ქვეყნის გამოვლენის მიზნით ჩატარდა კვლევა. ქვეყნების შეფასება მოხდა ხუთი კრიტერიუმის გათვალისწინებით: ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში, კვლევა და განვითარება, სამეწარმეო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური სამუშაო ძალა და პოლიტიკის დინამიკა.

სტარტაპების განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს მქონე ტოპ 5 ქვეყანა Top 5 startup friendly countries in the world



ქვეყნების შეფასება მოხდა ხუთი კრიტერიუმის გათვალისწინებით: ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში, კვლევა და განვითარება, სამეწარმეო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური სამუშაო ძალა და პოლიტიკის დინამიკა.


წყარო: Ceoworld Magazine

მაღალი რეიტინგის მისაღებად, ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- 🚀 მოსახლეობის განათლების მაღალი დონე;
- 🚀 კვლევებისა და განვითარების მაღალი დონე;
- 🚀 მარტივი წვდომა რესურსებთან და მეწარმეთა მხარდაჭერა;
- 🚀 კვალიფიციური ადამიანური რესურსები;


🚀 სტაბილური პოლიტიკური და ბიზნეს გარემო;

არსებობს უამრავი ეროვნული ფაქტორი, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს სტარტაპებისთვის სასარგებლო გარემოს შექმნაში.



და ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია იმ ინდუსტრიის სპეციფიკისა და სირთულეების გააზრება, რომელშიც სტარტაპი იწყებს ოპერირებას. საერთაშორისო სტატისტიკა გვიჩვენებს სხვადასხვა ინდუსტრიაში სტარტაპების წარმატებისა და წარუმატებლობის დონეს. ათი ყველაზე მაღალი წარუმატებლობის დონის მქონე ინდუსტრია წარმოდგენილია ქვემოთ.

ინდუსტრიები სტარტაპების წარუმატებლობის ყველაზე მაღალი დონით



წყარო: www.failory.com


მონაცემებიდან ჩანს რომ მომსახურების სფერო (მაგალითად, ფინანსები, დაზღვევა და უძრავი ქონება, განათლება და ჯანდაცვა) სხვა სექტორებზე ნაკლებად რისკიანია. ეს განპირობებულია პროდუქტისა და მომსახურების განვითარებისთვის საჭირო მახასიათებლების განსხვავებულობით. სერვისი უფრო

მარტივად ადაპტირებადია მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი, მოითხოვს ნაკლებ ფინანსურ რესურსებსა და ტექნიკურ ცოდნას.

სტარტაპების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და თითოეულ მათგანს განვითარების გზაზე ხვდება გამოწვევები და ბარიერები; ბარიერები, რომლებსაც უამრავი მათგანი ვერ გადალახავს. აქ წარმოდგენილი მტკიცებულებები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არსებობს სტარტაპის წარმატების ხელშემწყობი უამრავი ფაქტორი - ინდუსტრია, მდებარეობა და ბიზნეს-განვითარებაზე კონცენტრირება, მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი მათგანია.

PMO არის მენეჯმენტ საკონსულტაციო კომპანია, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს

www.pmo-bc.com
(+995 32) 2 37 73 07
contact@pmo.ge
ნ.ნიკოლძის 7



ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.¹

¹ მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული ორიგინალური წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com